დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „მომავლის სკოლა“

შეფასების თარიღები 29, 30 ივნისი 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 01აგვისტო 2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	მომავლის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211 356 272

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის ქუჩა, №37ა
ფაქტობრივი მისამართი	პეტრე ქავთარაძის ჩიხი №1
საფოსტო ინდექსი	0189
დაწესებულების ვებ-გვერდი	St.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	Office@st.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2233199
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ქორელი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593390516
ელ-ფოსტა	Nino.koreli@st.edu.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 560586 ; 31.05.2022
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 29, 30 ივნისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	თეონა ყაჭეიშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☒
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.4.*	•სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ,სველ წერტილში შესასვლელი ვერ უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლის გადაადგილებას.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვა: მატრიცების, მშობელთა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		ბარათების, დიაგნოსტირების, სასკოლო ყველა კათედრაზე შექმნა-წარმოება, სასკოლო პროექტების განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემებით;
	1.2.	*.....*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	*მოაწყოს გასახდელები სპორტული დარბაზისთვის და იზრუნოს ბუნებრივი განათების ალტერნატიული გზების მოძიებაზე.*
	2.2.	*უსაფრთხოების მიზნით და ლაბორატორიაში მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელოვნების გაკვეთილების ჩატარებისთვის გამოიძებნოს ალტერნატიული ფართი.* *ქიმიური რეაქტივები და ცდებისთვის საჭირო ნივთიერებები, შეინახოს ტემპერატურული ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით შედარებით გრილ საცავში.*
	2.6.	*გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ”
	2.6.	*მეორე სართულზე არსებულ ჰოლში ,სადაც მასწავლებლებისთვის სამუშაო სივრცეა გამოყოფილი(ე.წ. სამასწავლებლო), არ კონტროლდებოდეს ვიდეოკამერებით.*
	2.7	*კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები(წესდება, შინაგანაწესი,)*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს „მომავლის სკოლის“ ბიბლიოთეკა შედგება 3 ოთახისგან , რომელთაგან ერთი წიგნადი ფონდის არქივია, მეორე - სამკითხველო, ხოლო მესამე -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკის სამუშაო კომპლექსური ოთახი . „ოთახის კომლექსურობა“ გამოიხატება მის ფუნქციონირებაში. სკოლის ბიბლიოთეკას ემსახურება სამი კვალიფიცირებული კადრი- სამი ბიბლიოთეკარი. გარდა ბიბლიოთეკის რუტინული საქმისა, ბიბლიოთეკაში ხდება წიგნებისა და სამუშაო რვეულების ლამინირება, აკინძვა. ასევე ბიბლიოთეკა გარდა კომპიუტერული ტექნიკისა აღჭურვილია საამკინძაო და რულონური ლამინირების აპარატით, პროფესიონალური ფართომაშტაბიანი პრინტერით, ქსეროქსითა და სკანერით, ასევე, ფერადი პრინტერით. თანამედროვე სტელაჟებზე დალაგებული თითოეული გვერდი ორმხრივი ლამინირებით არის დაფარული, რაც მოსწავლისათვის წიგნთან ან სამუშაო ალბომთან სამუშაოდ უფრო კომფორტულია, ვინაიდან პანდემიის პერიოდში მეტად „დაცულობის“ გარანტიას იძლევა, აღნიშნული წიგნების თითოეული გვერდის დეზინფექცია სპირტითაა შესაძლებელი. გარდა ამისა, მოსწავლეს სამუშაო ალბომებში შეუძლია ფლომასტერით/სპეც. მარკერით მუშაობა, ხოლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკის მომხმარებელი ამ ფლომასტერს საპნიანი წყლით აშორებს და ისე აბარებს ბიბლიოთეკას. რაც ისევ უსაფრთხოებისთვისაც კარგია, ხოლო ალბომი, თავისი დიაგნოსტიკური ტესტებით, როგორც დამატებითი სამუშაო რესურსი გადაეცემა შემდეგ თაობებს , სკოლა აღარ საჭიროებს ხელახლა ახალი ეგზემპლარების დაბეჭდვას, ეს ხელს უწყობს ქაღალდის ეკონომიას, რაც თავისთავად ეკოლოგიური თვალსაზრისითაც და მდგრადი განვითარების მიზნებისთვისაც მნიშვნელოვანია!

დაწესებულების მისია	მომავლის სკოლის მისიაა, მორალურ საფუძვლებზე დაყრდნობით განავითაროს მოსწავლეთა ინტელექტუალური და ფიზიკური უნარები აკადემიურად ცვალებად გარემოში; შთააგონოს თითოეულ მოსწვლეს მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი თავი და გახდეს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე; აღზარდოს პატიოსანი, წარმატებული, ყველა ეროვნების, აღმსრულებლობისა და რელიგიის ხალხთა მიმართ ტოლერანტული თაობა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 145	ექსპერტი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა დაფიქსირებულია-193 ; შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის და მატერიალური რესურსის (მერხები, სკამებით) ვიზუალური დათვალიერების და აღწერის შედეგად დადგინდა , რომ სკოლას 145 მოსწავლის მიღების შესაძლებლობა აქვს.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მომავლის სკოლა“ 1992 წლიდან ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 12 აგვისტოს N MES 8 16 00959009 წერილი (სამინისტროს 2016 წლის წერილი), რომელიც იყო პასუხი აღნიშნული დაწესებულების 29 ივლისის #04-02/468 წერილზე, რომლის მიხედვითაც „მომავლის სკოლა“ ითხოვდა ნებართვას, რომ სასწავლო პროცესი განხორციელებულიყო ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სქემით. კერძოდ: სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, სამინისტროს 2016 წლის წერილში ითხოვდა ნებართვას მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება - „ამერიკული პროგრამით“. ასევე, მოსწავლეთა და მშობელთა თხოვნის საფუძველზე დაენერგა რუსული ენის, როგორც მეორე უცხო ენის სწავლების დაწყება მესამე კლასიდან, ცეკვის - პირველი კლასიდან და დაეწყო მითოლოგიის სწავლება მეოთხე კლასში. 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმის დაზუსტებულ საათობრივ ბადეზე შეთანხმება სკოლამ მიიღო ა/წლის 18 იანვრის № MES 3 22 0000038328 წერილის საფუძველზე. 2021 წლის 6 სექტემბრის N01 ოქმით დამტკიცებულია შპს „მომავლის სკოლის“ 2021-2022 სასწავლო წლის საკოლო გეგმა; **სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:** • მუხლი 1. სკოლის ფილოსოფია ა)სკოლის მისია; ბ) სკოლის ხედვა; გ) სკოლის მიზანი; დ) ამოცანები; • მუხლი 2. ზოგადი განათლების საფეხურები და ამოცანები; • მუხლი 3 . განათლების ენები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მუხლი 4. განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზი და შეფასება; • მუხლი 5. სკოლის ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები; • მუხლი 6. 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი და გაკვეთილების განრიგი; • მუხლი 7. გაკვეთილების ცხრილი და მოსწავლეთა რაოდენობა; • მუხლი 8. სკოლის საერთო კულტურა; • მუხლი 9. დამრიგებლები და სადამრიგებლო პროგრამა; • მუხლი 10. საგნობრივი კათედრები; • მუხლი 11. სკოლის საათობრივი ბადე; • მუხლი 12. ღონისძიებების კალენდარი; • მუხლი 13. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებული დამატებითი მომსახურება; • მუხლი 14. საგანმანათლებლო რესურსები; • მუხლი 15. მოსწავლეთა შეფასება; • მუხლი 16. გამოცდები/გამოცდის ტიპები; • მუხლი 17. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება; • მუხლი 18. გაცდენები; • მუხლი 19. შინსწავლება; • მუხლი 20. მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სკოლაში გამოცხადების შესახებ მშობლის ინფორმირება; • მუხლი 21. ინკლუზიური განათლება; • მუხლი 22. დისტანციური სწავლება; • მუხლი 23. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა კორონა ვირუსის ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში; • მუხლი 24. სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაცნობის წესი; • მუხლი 25. სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაცნობის წესი; • მუხლი 26. უცხოეთში სწავლის პერიოდში აღიარებული ზოგადი განათლების თავსებადობის დადგენის საკითხებთან დაკავშირებით სკოლის მიერ შემუშავებელი სტრატეგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ძირითადი ინფორმაცია: სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას, განსაზღვრავს თითოეული კლასისთვის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, ესგ-თი გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურეობას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპებს და სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებსა და აქტივობებს. კლასში მოსაწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 20 მოსწავლით და მინიმუმ 3 მოსწავლით. **კალენდარი** სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია - 2021 წლის 15 სექტემბერი. სასწავლო წელი II – XI კლასებისთვის მთავრდება 15 ივნისს, XII კლასისთვის - 20 მაისს, ხოლო პირველი კლასისთვის - 3 ივნისს; პირველი სემესტრი მთავრდება 29 დეკემბერს, მეორე სემესტრი იწყება 17 იანვარს. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სკოლამ 6 დღიანი კვირეული დატვირთვით წარმართოს სასწავლო პროცესი. დღის რეჟიმის მიხედვით, სწავლა იწყება 9:00 საათზე, II - XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი, I კლასისთვის - 35 წუთი. არის დიდი 30 წუთიანი შესვენება; საგაკვეთილო ცხრილის განტვირთვის მიზნით, სკოლა შაბათ დღეს იყენებს გაკვეთილების ჩასატარებლად,ხოლო სწავლა ხორციელდება კლას-კომპლექტებში შემდეგ საგნებში: ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, არჩევითი საგნები. **სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** მომავლის სკოლაში ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. აგრეთვე, არჩევით საგნებიდან ისწავლება „მსოფლიო კულტურა“ მე-10 - მე-12 კლასებში; **საგნობრივი კათედრები სკოლაში:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული კათედრის დებულებით. **დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა:** სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დისტანციური სწავლების წარმართვის პრინციპები. სკოლა აცხადებს, რომ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, სკოლა გადავა დისტანციურ ან შერეულ (ჰიბრიდულ) სწავლების მოდელზე. დისტანციური სწავლება ხორციელდება სრულად ელექტრონული სინქრონული და სრულად ელექტრონული ასინქრონული მოდელების გამოყენებით, Google Education-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. გარდა ამისა მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებს. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც ასახული იყო ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „მომავლის სკოლის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 12 აგვისტოს N MES 8 16 00959009 წერილი ; • სკოლის ადმინისტრაციის წევრთან გასაუბრება; • 18 იანვრის № MES 3 22 0000038328 წერილი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან) ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში. განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით და აქტივობებით. „მომავლის სკოლაში“ გაძლიერებულად მიმდინარეობს ინგლისური ენის სწავლება. აქაც დაცულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდიკა. თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა აგებული ინგლისური ენის პროგრამა. ყოველ წელს მიმდინარეობს ინგლისურ ენაში მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამით კონკრეტული მოსწავლის სწავლება. სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების და მათი ანალიზის ფორმები. აღსანიშნავია, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი სკოლაში დაწყებულია, თუმცა ყველა კათედრაზე არ გვხდება თემატური მატრიცა, მშობელთა ბარათები. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო კომპლექსური დავალებები. მაგრამ არაა წარმოდგენილი, რომელი თემატური მატრიცის შუალედური მიზნების მისაღწევად განხორციელდა ესა, თუ ის კომპლექსური დავალება. „მომავლის სკოლის“ წარმომადგენლებმა (ადმინისტრაციის წევრი, კათედრისა და პედ. საბჭოს წევრები) აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელი არის გარდამავალი, პედაგოგები ამ მიმართულებით გადიან შესაბამის ტრენინგებს და მომავალ წელს დაიწყებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფართოდ დანერგვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის ადმინისტრაციის წევრთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება. • კათედრების პორტფოლიოები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სხვა დოკუმენტაციის შედეგების ფორმების შინაარსით ჩანს, რომ მომავლის სკოლა აანალიზებს თითოეულ მოსწავლესთან მიღწეულ პროგრესს. სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობით დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების შესახებ. მოსწავლეთა მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მოსწავლეებისთვის წარმოადგენს ინდივიდუალურ მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში, რაც გამოიხატება, საჭიროებისას, მოსწავლეებთან დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის სისტემატიურ გაწევაში, სადაც ხდება მოსწავლის აკადემიური და ფსიქო-ემოციური ინდივიდუალური მხარდაჭერა. სკოლას ემსახურება ერთი ფსიქოლოგი, რომელიც ეხმარება სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეებს ახალ გარემოსთან ადაპტირებაში. ასევე, აღნიშნული სპეციალისტი უწევს ინდივიდუალურ მომსახურებას დაბალი თვითშეფასების მოსწავლეებს. სასწავლო წლის განმავლობაში ყველა მოსწავლესთან ტარდება ინდივიდუალური ფსიქოკონსულტაცია სწავლისა და განვითარების საკითხებზე, თვითგამორკვევის, უფროსებისა და თანატოლების ურთიერთდამოკიდებულების, თვითაღზრდის პრობლემებზე. ასევე. ფსქოლოგი მშობელს აწვდის რეკომენდაციებს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებზე და აღზრდის მიდგომებზე. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების და სწავლების კონცეფცია. აღნიშნულ სსსმ მოსწავლეს აქვს შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილია მხოლოდ ორ საგანში, როდესაც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოთხოვნაა, რომ აღნიშნულ მოსწავლეს, გარდა სპორტისა, ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანში ჰქონდეს ინდ. გეგმები. თუმცა აღსანიშნავია, რომ დასკვნა საკმაოდ „ძველია“ ანუ ათი წლის წინანდელია, ხოლო ისგ-ს წევრები და მათ შორის სპეციალური მასწავლებელი აღნიშნავს პროგრესს მოსწავლესთან მიმართებით, რის გამოც ის სხვა საგნებში აღარ საჭიროებს ინდ. სასწავლო გეგმის შედგენას. აღნიშნული ვითარების გამო, სსსმ მოსწავლე საჭიროებს გადაფასებას. ვიზიტისას ექსპერტების რეკომენდაციის შედეგად, სსსმ მოსწავლის მშობლის ჩართულობით, გაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სამმართველოში მოსწავლის გადაფასების მოთხოვნა. „მომავლის სკოლის“ ისგ გუნდი აქტიურად მუშაობს არსებულ ქეისზე. წარმოებულია ისგ გუნდის ოთხი (4) ოქმი, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შიდა გუნდი და მომზადებულია გუნდის მიერ შიდა მონიტორინგის დასკვნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „მომავლის სკოლის“ 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინკლუზიური განათლების დებულება; • სკოლის ფსიქოლოგის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში; • „მომავლის სკოლის“ ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა; • შპს „მომავლის სკოლის“ ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა“ -2022 წლის ივნისი; • ისგ ჯგუფის 4 ოქმი; • მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა თ. ნაკაიძის; • 2022 წლის 30 ივნისის მიწერილობა მულტიდისციპლინური გუნდის სახელზე სსსმ მოსწავლის გადაფასებასთან დაკავშირებით; • ინდ. სასწავლო გეგემები და შეფასება; • ინტერვიუ სპეც. მასწავლებელთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტისას წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის შპს „მომავლის სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური შეფასება არის სამკომპონენტიანი: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება; დაწესებულება შეფასების მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სასწავლებელი იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპს, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, გაცდენილი დავალების აღდგენის წესი. პედაგოგები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში დაგეგმილი და განხორციელებულია სულ მცირე ერთი კომპლექსური დავალება მაინც. მასწავლებლები შემაჯამებელ დავალებებში მოსწავლეების მიერ მიღებულ შეფასებებს ასახავენ კომენტარის სახით სპეციალურ ფორმაში. ამავე ფორმაშია (“შემაჯამაბელი დავალების ანალიზი“) მასწავლებლის ანალიზი კლასის მიერ შედეგის/შედეგების მიღწევის შესახებ; შემდეგ უკვე, ანალიზზე დაყრდნობით, მუშავდება ცალკეული მოსწავლის ან მთელი კლასის მიერ საგნობრივი სტანდარტის კონკრეტული შედეგის მიღწევაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისათვის გადასადგმელი ნაბიჯები. მასწავლებლებს, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაერთიანებულნი არიან საგნობრივ კათედრებში შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა სახეები, მათ ჩამონათვალშია: ესსე, პოსტერი, დისკუსია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, ექსპერიმენტი, პრეზენტაცია, პროექტი, რეფერატი და სხვა.. გასაუბრებისას მოსწავლეები აღწერენ შეფასების კრიტერიუმების განხილვაში მათი ჩართულობის მაგალითებს. ამბობენ, რომ იციან რაში და როგორ ფასდებიან. მოსწავლეთა მშობლები საუბრობენ, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად ჩატარებულ კონსულტაციებზე, დამატებით შეხვედრებზე - კონკრეტული საკითხის მოსწავლის მიერ „ვერ გაგების“ შემთხვევაში. მასწავლებლები, კი, ხაზს უსვამენ მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების მიცემის მნიშვნელობას და მის გავლენას მოსწავლეთა მოტივაციაზე. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მშობელი ეცნობა განმავითარებელ კომენტარს. ასევე, აღსანიშნავია სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ „მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი“, სადაც მასწავლებლების შეფასებას ობიექტურად აფასებს მოსწავლეთა უმეტესობა -64, 3%. საკლასო ოთახებში გაკრულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი - 2022 წ.; • ინტერვიუები მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან, მასწავლებლებთან. • მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები; • სკოლის ელ. ჟურნალი - Schoolbook https://eservices.schoolbook.ge/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მომავლის სკოლას" ცალკე შემუშავებული აქვს „მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სკოლაში გამოცხადების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი", ასევე „მშობლებთან კომუნიკაციის წესი ". აღნიშნული წესების მიზანია მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციის, მშობელთა დროული ინფორმირება სასწავლებლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და შეფასების თაობაზე, ასევე მშობლების ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებისა და მის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; კომუნიკაციის წესი ხელს უწყობს მოსწავლეებისა და მასწავლებლების, თანატოლების, სკოლასა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებთან, ზოგადად სასკოლო საზოგადოებასთან ჯანსაღ ურთოიერთობების ჩამოყალიბებას. ასევე ამ მხრივ დადებით გავლენას ახდენს სკოლის ელექტრონული ჟურნალის უკუკავშირის სისტემა, რომელიც შპს „მომავლის სკოლის" მიმართ მოსწავლეებს და მათ მშობლებს განაწყობს პოზიტიურად. ასევე იზრდება სკოლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. კლასის დამრიგებლები მოსწავლეების მშობლებთან ყოველდღიური კომუნაკიისთვის ელ. ჟურნალის გარდა სოციალურ ქსელებს იყენებენ. რაც ასევე ხელს უწრობს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის სოციალურ ქსელში აქტიურად თავსდება სკოლის აქტივობებისა და მრავალფეროვანი ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია ვიზუალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სკოლაში გამოცხადების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი; • მშობლებთან კომინიკაციის წესი; • ინტერვიუები; • სოც. ქსელში შპს „მომავლის სკოლის" გვერდი : https://www.facebook.com/momavlisskola/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მომავლის სკოლას“ შემუშავებული აქვს „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექამიზმი“ ცალკე დოკუმენტად. ზოგადად, აღნიშნული დაწესებულებისთვის სასწავლო პროცესის ხარისხზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაზეც დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტები და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია მეტყველებს. „შპს მომავლის სკოლის 2022-2028 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის “მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობები. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე შემუშავებულია შპს „მომავლის სკოლის “2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გრძელვადიან და ერთწლიან გეგმებში ასახული აქტივობების განხორციელების ხელშესაწყობად მომავლის სკოლას შემუშავებული აქვს დებულება „ შპს მომავლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები”, რომლის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე ციკლზე. ეს ციკლი ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, ადამიანური რესურსების შეფასებას საქართველოს კანონმდებლობასა და სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესთან მიმართებაში, მათი პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შეფასებას სასწავლო პროცესთან და მის განვითარებას საგანმანათლებლო მიზნებთან მიმართებაში. სკოლის ადმინისტრაცია ჩართულია სკოლის მუშაობის ანალიზის შედეგად სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვაში. ამის მაგალითია დოკუმენტი:“ შპს მომავლის სკოლის აკადემიური დირექტორის 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემსტრის მუშაობის ანალიზი“, რომლის მიხედვით დაიგეგმა 2021-2022 სასწავლო წლის კონტაქტური სწავლება, რომელიც ა/წლის მარტის თვიდან დაიწყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა ატარებეს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში კვლევებს.კვლევის შედეგად მომავლის სკოლამ გამოყო ახალი 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის პრიორიტეტული საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი №1 • სკოლის პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კვლევის ანალიზი; • სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების სამუშაო გეგმის შესრულების ანალიზი; • მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევების ანალიზი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:1049,85კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს,მომავლის სკოლა განთავსებულია მისამართზე: თბილისი,პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1. 2028 წლის 20 მაისამდე სკოლას ქირავნობის ხელშეკრულებით არის განთავსებული 1049,85 კვ.მ საერთო ფართში შენობის მე-2 და მე 3 სართულებზე,ამის გარდა, სკოლა იყენებს საერთო სარგებლობაში არსებულ 101.62 კვ. მ ფართს (კიბის უჯრედი და სადარბაზო).
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი.პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.14.04.029.081**
კვ.მ.	**1049.85**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(30.06.22); ქირავნობის ხელშეკრულება;
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა 150 ინდივიდუალური საჭიროებების მერხით და სკამით, სასკოლო დაფებით, მათ შორის ე.წ. მარკერიანი თეთრი დაფებით, სწავლა- სწავლების ეფექტიანი წარმართვისთვის აუცილებელი მატერიალური საშუალებებით,კერძოდ:წიგნების კარადებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, საკონფერენციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მაგიდებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და სხვა სასწავლო ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სპორტული დარბაზი შენობის მესამე სართულზეა განთავსებული, რომელშიც სპორტის გაკვეთილების ჩატარების მიზნით სხვადასხვა სპორტული ინვენტარია: შვედური კედელი, ბაგირი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა,კალათბურთის ფარი (ვიზიტის დროს ფარი დაზიანებული დაგვხდა), დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სპორტულ დარბაზში სხვადასხვა სასკოლო ინტელექტუალური თუ შემეცნებითი აქტივობები იმართება, რისთვისაც დარბაზის ჭერზე დამონტაჟებულია პროექტორი, დარბაზის კედლის ერთ მხარეს კარადებია, რომელშიც დასაწყობებულია სპორტული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ დარბაზს არ აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და სივრცეში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა და ვენტილაცია.სკოლას მივეცით <u>რეკომენდაცია მოაწყოს გასახდელები დარბაზისთვის და იზრუნოს ბუნებრივი განათების ალტერნატიული გზების მოძიებაზე.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია; ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ლაბორატორიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია,ბიოლოგია) გაკვეთილების ჩატარებისთვის საჭირო რესურსებია კარადებში განთავსებული, კარადები იკეტება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელმისაწვდომი არ არის ქიმიური რეაქტივები მოსწავლეთათვის, ლაბორატორიის სივრცეში 12 მერხია სკამით, გამწოვი კარადა, წყლის ნიჟარა,თვალსაჩინოდ გამოკრულია ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები და პირობები, აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიის სივრცეში ტარდება ხელოვნების გაკვეთილები , რაც დაგვიდასტურა სკოლის წარმომადგენელმაც და არაერთი ნამუშევარი იყო გამოფენილი,სკოლას მიეცა <u>რეკომენდაცია უსაფრთხოების მიზმნით ლაბორატორიაში მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელოვნების გაკვეთილების ჩატარებისთვის გამოიძებნოს ალტერნატიული ფართი. სკოლა მიეცა რეკომენდაცია ქიმიური რეაქტივები და ცდებისთვის საჭირო ნივთიერებები შეინახოს ტემპერატურული ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით შედარებით გრილ საცავში.</u> <u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნა, რომ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაციები და ქიმიური ნივთიერებები განათავსა უსაფრთხოდ სეიფში, ხოლო ხელოვნების გაკვვეთილებისთვის გამოიყო სხვა ალტერნატიული ფართი, მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა ფოტო მასალა.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიის შემენის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის არის შესაბამისი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები ხელსაბანით გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, საკლასო ოთახებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გარდა სპორტული დარბაზისა (იხ.2.1.გ.), შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობა,ასევე კონდიციონერები. რეკომენდებულია სკოლამ მასწავლებლებისთვის და სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასაქმებული სხვა უფროსი პირებისთვის გამოყოს ცალკე სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადახდის ქვითრებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ბიბლიოთეკა შედგება 3 ოთახისგან , რომელთაგან ერთი წიგნადი ფონდის არქივია, მეორე - სამკითხველო, ხოლო მესამე - ბიბლიოთეკის სამუშაო კომპლექსური ოთახი . „ოთახის კომლექსურობა“ გამოიხატება მის ფუნქციონირებაში. სკოლის ბიბლიოთეკას ემსახურება სამი ბიბლიოთეკარი. გარდა ამისა,ბიბლიოთეკაში წიგნებისა და სამუშაო რვეულების ლამინირება, აკინძვა და მათი დამუშავება მიმდინარეობს. გარდა კომპიუტერული ტექნიკისა აღჭურვილია საამკინძაო და რულონური ლამინირების აპარატით, პროფესიონალური ფართომაშტაბიანი პრინტერით, ქსეროქსითა და სკანერით, ასევე, ფერადი პრინტერით. სტელაჟებზე თემატურად დალაგებულია როგორც დამატებით სავალდებულო საგნების საწავლო რესურსები , ისე გრიფირებული სახემძღვანელოები, შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას ყველა სახელმძღვანელო დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რეგისტრირებულია ელექტრონულ სისტემაში (Bookcat) და ხელმისაწვდომია ადგილზე მოსწავლეთათვის, ბიბლიოთეკაში სულ დაცულია 1110 ერთული წიგნი, რომლთაგან 537 ერთეული სახელმღვანელოა. დოკუმენტით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია:რეგისტრაციის საინვენტარო წიგნი, მკითხველთა (მოსწავლეთა და პედაგოგთა) ფორმულარები და ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ბიბლიოთეკით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი.მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სახელმძვანელოების ელექტრონული ვერსიები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ სამკითხველი სივრცეში განთავსებული კომპიუტერის (პრობუქი) მონაცემები ვერ უზრუნველყოფს საოფისე პროგრამებში (MS word, excell,powerpoint და სხვ) მუშაობას,მხოლოდ ინტერნეტში არის შესაძლებელი, რაზედაც დაწებულებას მიეცა რეკომენდაცია ჩაანაცვლოს ან პროგრამულად უზრუნველყოს კომპიუტერის მახასიათებლების გაძლიერება, რაზედაც დაწესებულებამ რეკომენდაცია გაითვალისწინა და ვიზიტის დროს ჩაანაცვლა ლეპტოპით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკარის ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით; • ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით; • შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით; • მკითხველთა ფორმულარებით და ბარათებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ცენტრალური შესასვლელი გზის საფარი ნაწილის პირზეა, შესაბამისად უზრუნველყოფს შშმ პირების დაუბრკოლებელ გადაადგილებას, კიბეებზე მოწყობილია რკინის კონსტრუქციის პანდუსები, რომელიც აკეციალია, სკოლის ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეებში მოსახვედრად სკოლას მიეცა რეკომენდაცია კარების ზღურბლზე არსებული მცირე შემაღლებისთვის მოაწყოს მარტივი კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლეთათვის შეუზღუდავი გადაადგილებისთვის, მნიშვნელოვანია რომ სკოლამ დააკმაყოფილოს ავტორიზაციის <u>სტანდარტის პირობები და უზრუნველყოს ასევე შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლაში ვიზიტის დროს,არსებულ სველ წერტილებში ვიზუალური დათვალიერებით დამონტაჟებული იყო (გოგონებისთვის და ვაჟებისთვის) ხელისმოსაკიდი, თუმცა სველ წერტილში მოხვედრა კარების სივიწროვის გამო ეტლით</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>მოსარგებლისთვის ფიზიკურად შეუძლებელია, შესესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ავტორიზაციის პირობები დააკმაყოფილოს და უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო.დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იზრუნებენ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებაზე.</u> სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა ფოტო მასალა და ხელშეკრულებები სველი წერტილების შესასვლელის სტანდარტის შესაბამისად მოწყობის შესახებ.აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია , რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასაწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: სკოლის მფლობელობაშია 12 ერთეული კომპიუტერი, მათ შორის ლეპტოპები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა სივრცეებში: 6 ლეპტოპი ისტ-კლასში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებში და სხვ. სკოლაში არის სხვადასხვა რესურსი:პროექტორები, აუდიო მაგნიტოფონები, ტელევიზორი და სხვ. სკოლა სარგებლობს ინტერნეტით, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტები. სკოლა საკომუნიკაციო და საინფორმაციო არხად იყენებს დაწესებულების ვებგვერდს: ST.EDU.GE სადაც განთავსებულია სკოლის საქმიანობის შესახებ განახლებული ინფორმაცია, რაც თავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მხრივ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის მიწოდებას. სოც. ქსელის გვერდს : http:// www.facebook.com/momavlisskola საკომუნიკაციო მიზნით სკოლა იყენებს ელ. ფოსტას: office@st.edu.ge სკოლაში დანერგილია ელ. ჟურნალი ,,schoolbook''
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია; • ვებ-გვერდის ვიზუალური დათვალიერებით; • დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 28 ივლისის N 02-105 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხანძარსაწინააღმდეგო,უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები'',ასევე შექმნილია საგანგებო შტაბი. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დადგენილება (2018 წ) გამოვლენილი ხარვეზების შეუსრულებლობაზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ (საფუძველი მიწერილობა N 23;2016წ); რომლის თანახმად დაწესებულებას არ ქონდა დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და არ გააჩნდა სართულებიდან საევაკუაციო გასასვლელები, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია სკოლაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, შესრულდეს შესაბამისი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნა, რაზეც სკოლამ ვიზიტის პერიოდში მოიძია კომპანია, გააფორმა მასთან ხელშეკრულება , რომლის თანახმად მომდინარე წლის 01 სექტემბრამდე შესრულდება სკოლის შენობის სიგნალიზაციის მონტაჟი და შესაბამისი საევაკუაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასასვლელების მოწყობა.ვიზიტის პერიოდში სამონტაჟო სამუშაოები, კერძოდ სიგნალიზაციის დეტექტორების მონტაჟი განხორციელდა. სკოლის ტერიტორიაზე საევაკუაციო გეგმებზე დატანილი ნიშნულების მიხედვით განთავსებულია ცეცხლმაქრები, ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ორი ცეცხლმაქრის დამატების შესახებ , რაზეც სკოლამ ვიზიტის ფარგლებში შეასრულა, თვალისაჩინო ადგილას გამოკრულია სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შესაბამისი სამსახურების ნომრები და ცეცხლმაქრების გამოყენების წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის დადგენილება N 23/8/1-45 10.04.2018; • დირექტორის 2016 წლის 28 ივლისის N 02-105 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხანძარსაწინააღმდეგო,უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები; • მომსახურების ხელშეკრულება N 77/1 30.06.2022 შპს ,,დეტექტთან"სახანძრო სისტემების მოწყობის შესახებ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შესაბამისი უწყების მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმები;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების და აღმოჩენის მექანიზმები,ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება ექიმთან. რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას,ექიმი აწარმოებს პაციენტთა ავადობის ჩანაწერების ჟურნალს,მედიკამენტების აღწერას, სამედიცინო კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია პირველადი დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღმოჩენის წესები, სამედიცინო კარადაში განთავსებულია პირველადი დამხარებისთვის აუცილებელი მედიკამენტები, ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამედიცინო კაბინეტში მოაწყოს ხელსაბანი, სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვიზიტისას შეიძინა მოძრავი ხელსაბანის სისტემა ნიჟარით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ''და იმოქმედოს ამ ბრძანებით დადგენილი პიროებების შესაბამისად. ასევე, რეკომენდებულია (ექიმის მუშაობის საათებია 10 დან 16 სთ მდე) სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, ექიმი იმყოფებოდეს სწავლის დაწყებიდან და სამუშოს ასრულებდეს არა საგაკვეთილო ცხრილით დადგენილი გაკვეთილების დასრულებამდე,არამედ იმყოფებოდეს მოსწავლეთა სკოლაში ყოფნის პერიოდშიც მაგ: გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობის დროსაც.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გაითვალისწინა რეკომენდაცია და ექიმის სამუშო საათები დაადგინა მოსწავლეთა სკოლაში ყოფნის პერიოდის ჩათვლით,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ექიმთან დადებული ხელშეკრულებით; • გასაუბრებით სკოლის ექიმთან; • ხელსაბანის შესყიდვის დოკუმენტაცია; • მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაცია.; • სასკოლო ჰიგიენის და სამედიცინო დახმარების წესი ბრძ N 01-48.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანება N 01-55 უსაფრთხო გარემოს შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ, დიკრექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების წესი, ამასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები'' დოკუმენტის პროექტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად გაგზავნილი აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად (N 4/14; 04.03.2022) , მიმდინარეობს მიმოწერა და შესაბამისი რეკომნდაციების შესრულება, უკანასკნელი,რედაქტირებული კორესპონდენცია სკოლამ მიმდინარე წლის 02 ივნისს გააგზავნა სამინისტროში. წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი, სკოლას განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირი , ასევე დადგენილია დირექტორის ბრძანებით (N 01-51) პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, განსაზღვრულია ინფექციურ დაავადებათა პრევენციის და რეაგირების წესი (N 01-50;14.09.22).უსაფთხოების დაცვის მიზნით სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების მენეჯერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაგზავნილი კორექსპონდენციით განათლების და მეცნიერების სამინისტროში უსაფრთხოების წესის შეთანხმების მიზნით; • უსაფრთხო გარემოს შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ ბრძანება; • დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით; • პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით; • ინფექციურ დაავადებათა პრევენციის და რეაგირების წესით; • შრომის სპექციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულებით; • ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმენტრზე დამონტაჟებულია 12 შიდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელთაგან ერთი დამონტაჯებულია იყო სპორტულ დარბაზში , ხოლო ერთი საინფორმაციო ტექნოლოგიების ოთახში, ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოხსნას ვიდეოკამერების იმ სივრცეებში სადაც ხდება გაკვეთილის ჩატარება, რაც სკოლამ გაითვალისწინა, მოახდინა კამერების დემონტაჟი და ექსპერტებისვე მითითებით დააყენა იმ სივრცეებში, რომელიც არ კონტროლდებოდა(დერეფანი, კიბის უჯრედი), სკოლის გარე პერიმეტრს 4 გარე კამერა აკონტროლებს. ვიდეოკამერების მონაცემები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ვიდესამეთვალყურეო სისტემის გამოსახულებების ჩაწერა და მონიტორინგი მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ისტ-კაბინეტში, რომლის მონიტორინგს სკოლის დარაჯი უზრუნველყოფს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით,ვიდეო ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობის დაცვის პრევენციისთვის სასწავლო სივრცისგან გაიმიჯნოს ვიდემეთვალყურეობის პროცესი და გადატანილ იქნას სხვა ყველასათვის არახელმისაწვდომ ადგილას. ასევე ბრძანებით განისაზღვროს ვიდეო კამერების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მეორე სართულზე არსებულ ჰოლში ,სადაც მასწავლებლებისთვის სამუშაო სივრცეა გამოყოფილი(ე.წ. სამასწავლებლო), არ კონტროლდებოდეს ვიდეოკამერებით. სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას მტკიცებულების სახით წარმოადგინა ფოტო მასალა, სადაც გადატანილია სამასწავლებლო სხვა სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეო კამერების ფლობის დოკუმენტაციით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საქმიანობა რეგულირდება წესდებით, რომელიც პარტნიორთა კრების გადაწყვტილებით არის დამტკიცებული 2012 წელს, რომლის თანახმად დაწესებულების უმაღლეს ორგანოს პარტნორტა კრება წარმოადგენს, ხოლო სკოლის მართვა ხორციელდება ორი დირექტორის: დირექტორის და აკადემიური დირექტორის მიერმ რომელთა ფუნქციები განისაზღვრება პარტნორთა კრებისვე დამტკიცებული შინაგანასწესით. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის პარტნიორთა კრებაზე 2021 წლის 16 მარტს და შედგება შემდეგი თავებისგან: საქმიანობის ზოგადი სფერო და ტერმინთა განმარტებები; სკოლის მისია და საქმიანობა;დისკრიმინაციის აკრძალვა და პირადი ხელშეუხებლობა(დადგენილია პირად გასანჯვაზე პასუხსიმგებელი პირები);კონფიდენციალურობის დაცვა; სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი თანამდებობების ფუნქცია-მოვალეობები (ადმინისტაცია-ტექპერსონალი); პედაგოგიური საბჭოს, კათედრების ფუნქციები; მე-6 თავი არეგულირებს თანამშრომელთა მიღება-დათხოვნა-ანაზღაურების წესს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას,სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს, შვებულების საკითხებს, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შევებულება ორსულობის,მშობიარობის და ბავშვი მოვლის გამო მოვიდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და შევიდეს ცვლილებები შინაგანაწესში.
	მე-8 თავიდ დგინდება წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, დადგენილია წახალისების ფორმები, შინაგანაწესის მიხედვით დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი და სახდელის დაკისრების შესახებ ფორმდება დირექტორის ბრძანებით. დადგენილია დისციპლინური გადაცდომების სახეები და შესაბამისი სახდელები.სასურველია დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, ობიექტური, გამჭვირვალე სისტემის შემუშავება.
	მასწავლებლების დამრიგებლების უფლება-მოვალეობები,მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები,მოსწავლეთა დისიცპლინური პასუხისმგებლობის საკითხები;
	მოსწავლეთა მობილობის და პირველ კლასში ჩარიცხვის პირობები;
	მოსწავლეთა მშობლების უფლება-მოვალეობები, სადაც ვკითხულობთ ჩანაწერს, რომ სკოლის მოსწავლის მშობელს უფლება აქვს კლასის მოსწავლეთა მშობლების 4/5 -ის განცხადების საფუძველზე,შესაბამისი დასაბუთებით, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მოასწავლებელს ჩამოართვას ამ კლასთან გაკვეთილის ჩატარების უფლება. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, თუ მასწავლებლის ქცევა ან ქმედება არღვევს მასწავლებლის ეთიკის ნორმებს სკოლამ დისციპლინური წარმოება უნდა დაიწყოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო თუ კომპეტენციის საკითხია ნაგულისხმევი, მასწავლებლის კომპეტენცია პირველ რიგში მისი სტატუსით დგინდება, ხოლო სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის ანალიზის შედეგად უნდა გამოიკვეთოს შესაბამისი საკითხი და დაიგეგმოს ინტერვენციები, რაც რეკომენდებულია სკოლამ გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში.
	  სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება საჩივრების განხილვის წესი და უფლებამოსილი ორგანო;
	  სიცოცხლის, ჯანმრთელობის , შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, სადაც განსაზღვრულია რომ სკოლამ უნდა დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ''ბრძანება N 28/ნ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული ჩანაწერი გაასწოროს სკოლის შინაგანაწესში, ვინაიდან ზემოაღნიშნლი ბრძანება ძალადაკარგულია და მოქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამება. შინაგანაწესი ითვალისწინებს შიდა კონტროლის განხორციელების მექანიზმებს და შინაგანაწესში ცვლილების შეტანის საკითხებს.შინაგანაწესის გაცნობა დამოწმებულია თანამშორმელთა ხელმოწერებით, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია. სკოლის საქმიანობა რეგულირდება ასევე სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებებით: პედაგოგიური საბჭოს, კათედრის დებულება და სხვ, პედაგოგიური საბჭოს დებულების მიხედვით, საბჭოს ერთ-ერთი ფუნქციაა: სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, ხოლო სკოლის შინაგანაწესით პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია გაპარული და სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც გადამოწმებისას საბჭოს სხდომის ოქმითაც დგინდებოდა, სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს იმ დოკუმენტთა ოპტიმიზაცია, რომლებითაც მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე საკითხებია დარეგულირებული, ასევე საშემსრულებლო დისციპლინის მონიტორინგის მიზნით, უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების ოპტიმიზაცია ან შესაბამისობაში მოყვანა.სკოლამ რეკომენდაციების შესრულებაზე მიმღებლობა გამოხატა და აღნიშნა, რომ პარტნიორთა კრების მოწვევას და საკითხის განხილვას გარკვეული პროცედურები სჭირდება , შესაბამისად უახლოეს მომავალში შეიტანენ შესაბამის ცვლილებებს დოკუმენტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გრძელვადიანი გეგმის შესრულების პერიოდია 2022-2027წწ, მასში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები, დაგეგმვის მეთოდოლოგია. სტრატეგიული გეგმა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების (SWOT) შეჯერებით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ იქმნება ,.სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს სკოლის მისისას ,ხედვას და ღირებულებებს , გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურ გამოყენებას და გაუმჯობესებას.რეკომენდებულია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმაც, მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას როგორიცაა: პასუხისმგებელი პირები,რესურსები და შესრულების ინდიკატორები გაწერილ დროის კალენდარში, ისევე როგორც ეს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; • სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; • SWOT ანალიზი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით (10.01.2022) დამტკიცებული საქმისწარმოების წესი.სკოლაში მიმდინარეობს გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა სპეციალურ რეგისტრაციის ჟურნალში.შიდა აქტების (ბრძანებების) რეესტრი და შესაბამისად ზონარგაყრილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული რეგისტრაციის წიგნით, მოსწავლეთა აღრიცხვის ანბანური წიგნი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა მოძრაობის რეესტრი, ხელშეკრულებების რეესტრი.განსაზღვრულია საქმისწარმოებაზე პირი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; ○ გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; ○ საერთო ბრძანებების ჟურნალი; ○ ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; ○ საქმისწარმოების წესი; • • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	2.4 სკოლას მიეცა რეკომენდაცია საკლასო ოთახების კარების ზღურბლზე არსებული მცირე შემაღლებისთვის მოაწყოს მარტივი კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლეთათვის შეუზღუდავი გადაადგილებისთვის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო., კერძოდ სველი წერტილების შესასვლელი გაფართოვდეს.
რჩევები:	
ხარვეზები:	2.4 სკოლაში არ არის სსსმ და შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ სველი წერტილების შესასვლელი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის გადაადგილებას.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი,კერძოდ: სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლაში დასაქმებულია 39 თანამშრომელი,სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ნუსხა თანამდებობრივი ერთეულების მითითებით. დირექცია: დირექტორი 2;ფინანსური მენეჯერი 1 ადმინისტრაცია: საქმისმწარმოებელი 1; ადმინისტრაციული ასისტენტი 1; დაწყებითი საფეხურის კოორდინატორი 1, საბაზაო და საშუალო საფეხურის კოორდინატორი 1, ინფო-მენეჯერი-1; შრომის უსაფრთხოების მენეჯერი-1; მარკეტინგის მენეჯერი-1; დამხმარე ტექნიკური პერსონალი: ბიბლიოთეკარი -3; გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი პედაგოგი-2; ფსიქოლოგი-1;ექიმი-1; IT სპეციალისტი-1;დამხამრე მასწავლებელი- 1; მასწავლებლები-45; დაცვის თანამშრომელი-3;დამლაგებელი-2; მძღოლი-1; კვების ბლოკის დამხარე-1;სამეურნეო ნაწილის გამგე-1;იურისტი-1
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს მომავლის სკოლის 21.03.2022 წ პარტნიორთა კრებაზე დამტკიცებული საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	22
მოწვეული/მაძიებელი	2
პრაქტიკოსი მასწავლებლი	8
უფროსი მასწავლებლი	12
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.წარმოდგენილია მასწავლებელთა პირად საქმეებში შეაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემის საფუძველზე; შრომითი ხელშეკრულებების საფუძელზე
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლები,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“.სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი (შიდა და გარე). პირველ ეტაპზე, კანდიდატი წარადგენს რეზიუმეს, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე.შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებაშია გაწერილი, თუმცა ვიზიტის პერიოდში დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა უზუსტობა, კერძოდ: გათავისუფლების საფუძვლები არ იყო თანხვედრაში საქართველოს ორგანულ კანონთან,,შრომის კოდექსთან“,აღნიშნულზე დაწესებულებას მიეთითა .სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს წახალისების სისტემას, როემლიც დირექტორის ინდ. აქტით ფორმდება.დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები გაწერილია შინაგანაწესში, სადაც განსაზღვრულია გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ხელშეკრულებებით; • კონკურსის ჩტარების წესით(03.09,2021); • საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანებები, კომისიის სხდომის ოქმები; • ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები და პერიოდულად შეტანილია მასში შესაბამისი ცვლილებები, შეთანხმებების გზით. ხელშეკრულებების შესწავლის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსით განსაზღვრულ ხელშეკრულების სავალდებულო პიროები. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მასწავლებლის სტატუსის შესაბამის პირობებს,ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა რეკომედაცია მოიყვანა შესაბამისობაში შრომითი ხელშეკრულბები, რაზეც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და წარმოადგინა ეტაპობრივად თანამშრომელთა შეცვლილი, კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების და ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების წესი“ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისი პროცედურები.ასევე ,სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მხარდამჭერი ჯგუფის სამუშაო დებულება. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება, რისთვისაც სკოლა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ: მასწავლებლების საჭიროების დადგენა; კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის ტრენინგების უზრუნველყოფა.ეფექტურად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლების საჭიროებებს, ესწრება გაკვეთილზე და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს.მასწავლებლების გარდა, სკოლის სხვა თანამშრომლების განვითარების მტიცებულებად სკოლა წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ სხვადასხვა ტრენინგებზე გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების მართვის წესი ბრძ.N 01-49; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ოქმები; • პეოფესიული განვითარების გეგმა ბრძ. N 01-54; • ინტერვიუს შედეგები. • პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომელთა , პედაგოგებსა და მოსწავლეთა შორის არის თანამშრომლობითი დამოკიდებულება. მშობლებთან ინტერვირებით გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სკოლის შედეგებით. აღნიშნავდნენ სკოლის ადმინისტრაციის ყურადღებას და კეთილგანწყობას, როგორც მათ მიმართ, ასევე ბავშვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიმართ. ხაზს უსვამდნენ მასწავლებელთან აქტიურ კომუნიკაციას და მასწავლებლების მზაობას ითანამშრომლონ მშობლებთან და ბავშვებთან. სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა სამუშაო ატმოსფერო. შენობის დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრებით. მასწავლებელთა პორტფოლიოების შემოწმებით გამოჩნდა მასწავლებელთა თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების და რესურსების გაზიარება. მოსწავლეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ როგორც მასწავლებლებს, ასევე ადმინისტრაციას თავისი იდეების განხორციელებისათვის.სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სადამრიგებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო ანგარიშების შესწავლით, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ , რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუს შედეგებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 01.08.2022

გვერდების რაოდენობა 45 (ორმოცდახუთი)

Eliso Lolashvili-merebashvili 01002006929
Digitally signed by Eliso Lolashvili-merebashvili
Date: 2022.07.31 22:05:09

45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.